დამტკიცებულია
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის
კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12
ივნისის
№51 ბრძანებით

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება

პროგრამის ხელმძღვანელი: ირაკლი ბერიძე

საკონტაქტო ინფორმაცია: ელ ფოსტა: irakli.beridze@railway.ge
მობ. ტელ.: 591 19 03 09

თბილისი
2018 წ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება „რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება“
2. სარეგისტრაციო ნომერი 07118-პ
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები

მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია რკინიგზის ოპერირებაში/ Fourth Level of Professional Qualification in Railway Operation.

4. მიზანი -პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სპეციალისტები სარკინიგზო ინდუსტრიის მოთხოვნათა შესაბამისად.

5. დაშვების წინაპირობა/წინაპირობები

სრული ზოგადი განათლება

6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები

მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული პროგრამის„**რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება**“ გავლის შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს რკინიგზის ოპერირების ორგანიზაციებში სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების სპეციალისტად.

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCO შესაბამისი კოდები: ნაწილობრივ 8312, 7421,

7. სტრუქტურა და მოდულები

.საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 15 კრედიტის ჯამური ოდენობით; 8 საერთო პროფესიულ მოდულს 25 კრედიტის ჯამური ოდენობით; დარგობრივი მიმართულებით - 6 სპეციალიზაციის მოდულს 50 კრედიტის ჯამური ოდენობით;

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 20 თვე.

მოდულის, ქართული ენა A2 (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	საბაზო განათლება	3
2.	ინგლისური ენა	საბაზო განათლება	5
3.	მეწარმეობა 2	საბაზო განათლება	2
4.	რაოდენობრივი წიგნიერება	საბაზო განათლება	2
5.	ინფორმაციული წიგნიერება 1	საბაზო განათლება	3
საერთო პროფესიული სავალდებულო მოდულები			
№	**მოდულის დასახელება**	**მოდულზე დაშვების წინაპირობა**	**კრედიტი**
6.	საინჟინრო გრაფიკა	საბაზო განათლება	3
7.	მასალათმცოდნეობის საფუძვლები	სრული ზოგადი განათლება	3
8.	რკინიგზების ზოგადი კურსი	საბაზო განათლება	3
9.	ზოგადი ელექტროტექნიკა	საბაზო განათლება	3
10.	სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	საბაზო განათლება	6
11.	საზეინკლო ოპერაციების შესრულება	საბაზო განათლება	2
12.	გაცნობითი პრაქტიკა რკინიგზის ოპერირებაში	საბაზო განათლება	2
13.	მეტროლოგია	საბაზო განათლება	3

რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაცია, ცენტრალიზაცია და ბლოკირება - სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები			
№	**მოდულის დასახელება**	**მოდულზე დაშვების წინაპირობა**	**კრედიტი**
14.	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობების მომსახურების სამუშაო პროცესის ორგანიზება		2
15.	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებში მიკროპროცესორული ტექნიკის გამოყენება		3
16.	რკინიგზის ტრანსპორტზე საგადასარბენო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი	მოდული:რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობების	16

		მომსახურების სამუშაო პროცესის ორგანიზება	
17.	რკინიგზის ტრანსპორტზე სასადგურო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი	მოდულები: რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობების მომსახურების სამუშაო პროცესის ორგანიზება; რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებში მიკროპროცესორული ტექნიკის გამოყენება	16
18.	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების მონტაჟი	მოდულები: რკინიგზის ტრანსპორტზე საგადასარბენო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი; რკინიგზის ტრანსპორტზე სასადგურო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.	7
19.	რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობათა მტყუნებებათა აღმოფხვრა	მოდულები: რკინიგზის ტრანსპორტზე საგადასარბენო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი; რკინიგზის ტრანსპორტზე სასადგურო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი.	6

8 .მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების აღწერა-სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
- აღწეროს კონკრეტულ პროფესიაში ორგანიზაციული მოწყობის ძირითადი პრინციპები;
- დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
- იმუშავოს ლითონურ და არამეტალურ მასალებთან, შეასრულოს საზეინკლო ოპერაციები;
- უზრუნველყოს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სარკინიგზო ტრანსპორტზე უსაფრთხო სამუშაო გარემო;
- წაიკითხოს ნახაზები და სქემები.
- დაგეგმოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების სპეციალისტის სამუშაო პროცესი;
- გამოიყენოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებში მიკროპროცესორული, ელექტრონული და ელექტრული ტექნიკა;
- შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე საგადასარბენო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე სასადგურო სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- შეასრულოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობებისა და სისტემების მონტაჟი;
- მოახდინოს რკინიგზის ტრანსპორტზე სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის და ბლოკირების მოწყობილობათა მტყუნებებათა აღმოფხვრა.

9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტის რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა.

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
ბ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება
პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის
შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

13. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები
- საქართველოს კანონი - „პროფესიული განათლების შესახებ“
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო
- პროფესიული სტანდარტი/სტანდარტი:
  - სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციისა და ბლოკირების ელექტრომექანიკოსი;

14. საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც ხელშეკრულების მეშვეობით უზრუნველყოფილია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება:

სს - საქართველოს რკინიგზა.

დანართი:

1.სასწავლო გეგმა

2.მოდულები

3.პროგრამის განმახორციელებელ პირთა სია

პროგრამის ხელმძღვანელი: ირაკლი ბერიძე

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი მანანა მოისწრაფიშვილი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი დავით საზანდრიშვილი